



# საფუნილო



**N15**  
მთლიანი  
1931  
ფასი 10კ



საფუნილო კონსერვაცია

ნახ. ნადარეიშვილის.

— ბატონებო, საღვებრძელოა ჯარბაზნის  
რომელმაც მთავარი როლი უნდა ითავაზოს  
ბანარაღებისა და მფუნილობიანობის საქმეში



# რ ა ც მ ო გ ი ვ ა ლ ა ვ ი თ ა ო ...

დათიკო აცანელიძე ცხრასს ხუთიდან მენშევიკების მზეს ფიცულობდა. მას იმ დროს ბარცხანაში პატარა საწვრიმალაო ღუქანი ჰქონდა რომლის უკანა ოთახში ჩუმით ღვინოს და არაყს ყიდდა უპატენტოდ.

კონსპირაციული მოსაზრებით ამ ღუქანის უკანა ოთახში უხდებოდათ ერთმანეთთან შეხვედრა ბათომის ნავთის ქარხნების მუშებს, — პროკლამაციების გადასაცემათ, თუ სხვა რამე საორგანიზაციო საკითხებზე მოსალაპარაკებლათ.

აცანელიძეს ამითი კარგი სარგებლობა და გამოსარჩენი რჩებოდა. მისი საქმე ისე კარგათ მიდიოდა, რომ ვაჭრობის გაფართოებას აპირებდა. მარა ამ დროს უშუხთლა ბედმა.

ცხრასს ხუთი წლის შემდეგ დამდგარ შავი რეაქციის დროს სხვებთან ერთად მასაც სტაცეს ხელი ჟანდარმებმა და თავი ამოაყოფიეს ჯერ ციხეში, შემდეგ ცივ ციმიბირში.

დათიკო მოხერხებული კაცი იყო და ციმიბირშიდაც ჩქარა მოჰქიდა ხელი წვრილ ვაჭრობას. მისი ღუქანი აქაც არა ნაკლები ცენტრი შეიქნა გადასახლებულებსათვის. ვიდრე ბათომში იყო მოშობისათვის.

თვითმპყრობელობის დამხობის შემდეგ დაბრუნდა დათიკო უკან, მაგრამ ეხლა ბათომს თბილისი ამჯობინა საცხოვრებლათ. — მით უმეტეს, რომ ბევრი მისი ნაცნობ-მეგობრები აქ მთავრობის სათავეში იმყოფებოდნენ.

ცხრასს ხუთი წლის ოცნება თავისი პატარა საწვრიმალაო სავაჭროს გაფართოების შესახებ აქ მოიყვანა ახლა სისრულეში: საქმე იმდენათ წარმატებით წავიდა, რომ ერთი წლის შემდეგ სოლოლაკში კარგი სახლიც შეიძინა, როგორც იტყვიან ჩირის ფასად, ერთი სომეხიდან, რომელსაც თბილისიდან გასახლებას უპირებდნენ საგანგებო რაზმელები.

გავიდა კიდევ 1 წელი და დათიკო აცანელიძე ცნობილი ვაჭარი შეიქნა, რომელსაც ანგარიშს უწევდნენ როგორც მთავრობის წრეები, ისე ვაჭარმრეწველები.

მაგრამ სწორეთ იმ დროს როდესაც, როგორც იტყვიან, დათიკო აცანელიძის ბედს ძალი არ დაჰყეფდა, უცებ შეტრიალდა მდგომარეობა: საქართველოში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება, რომელმაც სულ ბლდვირი გაადინა ვაჭარ-მრეწველებს და სახლების პატრონებს, — მათ რიცხვში დათიკო აცანელიძესაც.

ამ დრომდის არ უგვრძნია დათიკოს ის, თუ რას წამოადგენდა მისთვის მენშევიკები და მათი ხელისუფლება, რომლებსაც ხანდისხან კიდევაც აუგებდა ხოლმე.

თუ ის წინეთ პასიურ დახმარებას უწევდა მენშევიკურ პარტიას და მატერიალურათ უმართავდა ხელს, ეხლა ნამდვილი აქტიური მუშაკი დახდა. მაგრამ რადგანაც მას სხვა რამ უნარი არ შესწევდა, ამიტომ იკისრა მენშევიკების მოქმედების ერთი უფრო ადვილი დარგი, რომელშიდაც დიდი ნიჭი გამოიჩინა.

ვის არ მოეხსენება, თუ რა და რა ცრუ ხმები ვრცელდებოდნენ ასობით საბჭოთა ხელისუფლების შესახებ

ამ ათი წლის განმავლობაში საქართველოში. ბევრი მათგანის გამოგონებული იყო დათიკო აცანელიძე. სხვების გამოგონებულ ხმების გაფრცხლებასიდაც ხომ ვერავენ შეედრებოდა მას.

ასეთი ცრუ ხმების გამოგონებით და გაფრცხლებით დიდი ზიანი მიუყენებია დათიკო აცანელიძეს საბჭოთა ხელისუფლებისათვის, მარა ერთი ასეთის მსხვერპლი შეიქნა თითონ ის.

აი, როგორ მოხდა ეს.

ნავთის წარმოების 5 წლიანი გეგმა შესრულებული იქნა ორნახევარ წელში. ამავე დროს ამუშავდნენ მინდვრებში ათი ათასობით ტრაქტორები, სხვა და სხვა მანქანები და მათი დამამზადებელი ქარხნები, რომლებიც მოითხოვდნენ ნავთეულობას. ამავე დროსვე რამდენიმე უცხოელი გემები მოადგენ ნავთსადგურებს ნავთის მისაღებად.

ყოველივე ამებმა გამოიწვია ბაზარზე დროებით ნავთის ნაკლებობა.

ისარგებლა რა დათიკო აცანელიძემ ამ შემთხვევით მყის გააფრცხლა ხმები, რომ არავითარი ხუთწლიანი ნავთის გეგმა არ შესრულბულა ორწელნახევარში, რომ, პირიქით, ნავთის ბუდობები ბაქოში სრულებით ამოშრენ. და სწორეთ ამიტომ ხდებდა, რომ შირაქში და სუფსაში ეძებენ ახლა ნავთის ახალ ბუდობებს.

თანაც დაფაცურდა დათიკო და თუ კი რამ ჭურჭელი მოეპოვებოდა — გამოიტანა ნავთის მისაღებად მისივე გაფრცხლებული ხმებით შექმნილ რიგებში. რიგშიდაც არ კარგავდა ის უბრალოთ დროს და აწარმოებდა მითქმა-მოთქმას სხვა და სხვა მოსალოდნელ საშიშროებებზე.

გავსო რა ყოველნაირი ჭურჭლები ნავთით დათიკო აცანელიძეს დაავიწყდა გაეფრთხილებია ოჯახის წევრები, თუ რაში იყო ჩასხმული ნავთი ია სად იდგა. სწორეთ ასეთი გაუფრთხილებლობის შიკოევი იყო ის უბედური მარცხი, რომელიც დატრიალდა დათიკო აცანელიძის ოჯახში.

ერთხელ მისი ცოლი ბავშს აბანებდა აბაზანაში. რადგან აბაზანის ოთახში მეტად ცხელოდა, ქალმა დააპირა წყლის სათბობ ფეხში გაღვივებულ ნაკვერცხლების წყლით ჩაქრობა. წამოავლო ხელი იქვე მდგარ წყლიან ვედროს და შეასხა ფეხში.

მაგრამ თურმე ვედროში წყალი კი არა — ნავთი ყოფილიყო, რამაც იფეთქა და წუთში მოედო მთელ ბინას, რომლის ყველა კუთხეებში აგრეთვე იდგნენ ნავთით ავსებული ჭურჭლები.

ასეთი უბედურების შემდეგ დათიკო აცანელიძე ჭკუიდან შეირყა, დადის ჭუჭუბში და ზუტბუტებს:

— რაც მოგივა დავითაო — ყველა შენი თავითაო!...

სიგიჟის შვოთი მას განსაკუთრებით მაშინ შემოუტყვეს, როდესაც ის თვალს მოჰკრავს ჭუჩაში მიმავალ ნავთის დამტარებელს...

ს. თ — ია.

2



ც ა ნ დ რ ა



# ი უ ვ ი ა თ ი ს ა ნ ა ხ ა ო ბ ა

## მოქმედება სწარმოებს ენევაში

სცენა წარმოადგენს ევროპის დიპლომატების სალაყბოს (ანუ, როგორც მას უწოდებენ, ევროპის კომისიის სხდომას), სადაც თავი მოუყრიათ (თუ კი შეიძლება მათ თავებს თავები უწოდოთ) ბურჟუაზიულ სახელმწიფოების წარმომადგენლებს.

სცენაზე გამოჩნდება დადგრემილი სახით ცნობილი „ტრალიკ-კომიკი“ ბ-ნი ბრიანი, რომელიც ასრულებს ჯამბაზის მთავარ როლს ბურჟუაზიული პოლიტიკის და დიპლომატიის

ის იყავა...  
— ნუ თუ ყოველივე ასე უფერულოდ და უგემურად უნდა დასრულდეს. ერთად ერთი იმედი, რომელიც ასულდგმულგბდა ევროპის იმპერიულიზმს და კაპიტალიზმს, ეს იყო პან-ევროპული გაერთიანების შექმნის იდეა. მაგრამ (ვაი ჩემო თავო, გიმუხილა ბედმა) აქაც „ფეხი წავიტებ“ და დაგმარცხდი, როგორც საბრეზიდენტო არჩევნებში. ჩემი ზრახვები არ გამართლდა: ჩვენი ეკონომიკა არა თუ გაჯანსაღდა, პირიქით, ის იხრწნება დღით დღე და უბსკრულისაკენ მიეჭანება. ჩვენი მთლიანი ფრონტი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ არა თუ ვერ შეეჭინით და მით სოციალიზმის შენებას ხელი შეუშალეთ, პირიქით, —ოქტომბრის რევოლუციის წითელი ქარიშხალი ლამობს მოედევას მთელ მსოფლიოს და დასასრულ, გათავებდებოლ ამერიკის იმპერიულიზმისათვის ევროპის მთლიანი ბლოკის შექმნის შესასრულებლად „კოვზი ნაცარში“ ჩაგვივარდა. (ბაუზა. სცენაზე გამოდის გენდერსონი, რომელიც მიმართავს ბრიანს):

— ბატონო ბრიან, რა დაგმართია! თქვენს სახეზე მწუხარება ჩანს. ხომ არ იფეთქა რევოლუციამ თქვენს ქვეყანაში? ან ეგებ გაწუხებთ ესპანეთის მეფის ბედი? (გენდერსონი გაუვივით ჩააშტერდება თვალბში ბრიანს რომელიც პირდაპირი უსმენს გენდერსონს. სცენაზე გამოჩნდება ზალესკი, რომელიც მორთავს ყვირილს):

— ბატონო ბრიან, ბატონო ბრიან. გვიშველეთ, დავილუბეთ, მოვიდა! მოვიდა!... (დარბაზიდან პირდაპირ სცენაზე ადის ამხ. ლიტვინოვი. ბრიანი, გენდერსონი და ზალესკი გაქვავდებიან.

ცოტა ხნის შემდეგ ბრიანი გონს მოდის და „მიესალმება“ ამხ. ლიტვინოვს):

— კეთილი იყოს ჩვენი ერთმანეთის გაცნობა! (ამხ. ლიტვინოვი მადლობის ნიშნად თავს დაუქნევს და ოქმს გადასცემს შემდეგი სიტყვებით):

— ბატონებო, ინებეთ ეს ოქმი „თავდაუსხმელობის შესახებ“. აი ეს თუ გიშველით თქვენ ცოტა ხანს მაინც, თორემ, გარწმუნებთ, თქვენი საქმე

განწირულია... ნახვამდის, ბატონებო. დრო არა მაქვს, სად გვცალია თქვენთვის, ხომ ხედავთ — უთქვენოდაც ვაკეთებთ ჩვენს საქმეს...

(ამხ. ლიტვინოვი მოჩვენებასავით სცენიდან გაქრება. შეიქნება აურ-ზაური: ბრიანი დაიწყებს ბარბაცს და იქვე ჩაიკეცება. ისმის ღრიალი):

— გვიშველეთ! დავილუბეთ! (კარგბში პოლიციელი გამოჩნდება).

მენი

## ს ა მ უ ვ ი ღ ო ზ ო ზ ე

ნახ. რეგმასელის



— მშვიდ ნავთადგურში. შემაცურებს ახალი ნავი, სადაც სიმშვიდეს იგრძნობს ჩემი საწყალი თავი!



# ლეონი ალაკარაკლა

ერთ ერთ კრებაზე ლონდონში ბოლდუინმა განაცხადა: „საბჭოთა კავშირის ეხლანდელი ექსპორტი წარმოადგენს „მოახლოებული ქარიშხლის და გრიგალის პირველ ნიშანს“-ო.

(გაზეთებიდან).

მე ვამბობდი...  
და ჩემი თქმა,  
ვმალობ ალღახს, რომ არ მოცდა:  
იქ, ლონდონში ერთ კრებაზე  
ბოლდუინიც გამოცოცდა...  
გამოცოცდა...  
გამოცოცხლდა  
შუბლ-მაგარი იგი ლეონი!  
იფიქრებდალ თავის დღეში,  
რომ ეს მკვდარიც აღსდგებოდა  
და კრების წინ უსირცხვილოდ  
ამ სიტყუეუათ წ. რსდგებოდა?  
თქვენი რა ვთქვა და მე კი მრწამს...  
მე კი მრწამდა იმ თავიდან,  
რომ ეს მგელი ცხვრის ტყავიდან  
დააღებდა კიდევ ხახას...  
თუმც რა ფხა აქვს მის განზრახვას  
და მის სურვილს რაღა ძალა?  
სიხანს, პრუტინა მოიშალა  
შუბლმაგარის თავში ისე,  
რომ ყოფილი სიხალისე  
არ ატყვია იმის „რეჩებს“:  
ის ცოცხალში მკვდარს გვაჩენებს!..  
და ეს მკვდარიც იზრინება,  
ის უკბილოთ იკბინება,  
როცა ამბობს ჩვენს ექსპორტზე,  
ტრბუნაზე, როგორც კორღზე  
წარმომდგარი ჩონჩხის სახეთ...

თუ არ გჯერათ, მოდირ, ნახეთ  
და ისმინეთ შედარება:  
„ამ ექსპორტსო ეფარება  
გრიგალიც და ქარიშხალიც!...“  
ესე იგი,  
ამბობს იგი,  
რომ არსობა ბოლდუინთა,  
დღემდის კიდევ თუ იყენთა  
და ატარა ზოაზენით დღენი,  
დღეს ერყვეა იმას ბქენი  
და ხვალ გრიგალს, იმის წამქცევს,  
ეინა, რომ ზურგს შეაქცევს?  
ისტორიითა განწირული,  
მისი მოდგმა ორპირული,  
შუბლმაგართა მოდგმა შავი,  
მათი შუბლი, მათი თავი,  
ყოფნის ზარმა ჩამორგვოს,  
ქარიშხალმა რომ წაღიქოს!..  
და ამაში ბოლდუინი,  
დაილოცოს მისი ტვინი,  
უცლოლად მართალია!  
დანარჩენში, არ მცალია,  
რომ განვექიქოთ მისი არსი:  
აქ ბევრია ცრუ და თარსი,  
დრო-მოქმეული, უფარგისი,  
მხოლოდ არ ვარ მე სადღისი,  
წიერი რომ ვკრა ყოველ მძორში.  
ისტორიის ძველგოდორში.  
ისე წავა იგი ლეონი,  
რომ ამის მეტს თავის დღეში,  
ველარ იტყვის მართალ სიტყვას!  
ამის შემდეგ თავი—ღოუ ქვას,  
შუბლ-მაგარის თავი—რეტი!  
რაღა მეთქმის მასხედ მეტი?!

ჰაჭირა.

კირილი საფირჩხიელი


# თანამედროვე ანდაჯები

- ზოგი მომტირალი მკვდარს კი არ სტირის, არამედ მასზე დარჩენილ ვალსაო.
- კარტის მოთამაშენი, მომგები და წამგები, ერთვე წაგებულიაო.
- ზოგჯერ გამგეც არა სტყუისო.
- რკინისგზელები რომ ყველა თავის მოვალეობას პირნათლად ასრულებდეს, კაპიტალიზმი არ მოხდებო.
- ორი ვაჟონის მოსამსახურე კონტუქტორი ვერც ერთს ვერ მოუვლისო.
- მუშკორი მაშინ ფასდება, როცა სიმართლეს სწერსო.
- ზოგჯერ რკინის გზით ბარგის გაგზავნას სჯობს ზურგით წაილა, რომ უფრო ადრე მიიტანო.
- ეკლესიაში მლოცველი ბნელაში იმყოფებო.
- გაკორტებული კულაკი კოლექტივს იფიცებდაო.
- ზოგი შვიდ თუმნიანი ნოქარი ოცდაათ თუმნიან მოსამსახურეზე უკით ცხოვრობსო.
- მოფერმა კაცი გადაჭრა და საგნალი შემოიფ მისცაო.

# ესკანეთური მწვეალი

ნახ. ფედორჩენკოს.

ესკანეთში მშრომელი მასები წვავენ და ანადგურებენ ეკლესიებსა და მონასტრებს. ღებეშებიდან



კონსტანტინის ვადა გაბრძობილებულია 5 ივნისამდე. კონსტანტინე ზე აუცილებლად უნდა იყოს წარწერა: „კონსტანტინისათვის“. კონსტანტინის შედეგი გამოცხადებული იქნება ივნისის ბოლო რიცხვებში.



# ქველი კალოში, მახათი და ბრიანსი

იყო საფრანგეთს არისტიდ — „მელად“ ხმობილი —  
ბრიანსი,  
მალილი, რუხი, მდაბალი, ფრაკიან - ცილინდრიანი,  
გაიძვერა და გაქნილი, გრძელ-კუდოვანი ხნიანი, —  
„მოციქულობდა მშვიდობას“ მართ ვით ხამს ენა-  
წყლიანი,  
სიტყვით ყანდი და შაქარი, ზრდილი და თავაზიანი.  
საქმით კი—ქვეყნის მშვიდობას დიდნი შეჰყარნა  
— ზიანნი!

—:—  
უამსა მის დაბადებისას—მგელთ ცხვარნი აატირესა,  
ხვა ძე არ ესვა მამა-მისს, მიკიტანს, მეტრაქტირესა\*),  
მედუქნედ ზრდიდა არისტიდს, დასვა თვის დუქნის  
დიარესა,  
და ასწავლიდა ხარჩობის წერტილ-მძიმეს თუ ტირესა...

—:—  
დავაჟაკდა, გამოიქნა, როგორც ხარჩი გაიძვერა,  
გავექილდა, „მალალ ხალხში“ გაერია, გაბებრა,  
ხან მყველფელთა მზე იფიცა, ხან მშრომელ ხალხს  
შეუშლერა,  
იქნავა, აქეთ-იქით, სითაც ქარმა დაუბერა,  
ბოლოს ჩადგა „კალაპოტში“: კაპიტალიზმს წაუგერა,  
ატივტივდა მალა, მალა, ვით სვაგი და როგორც  
დერა,  
ფრანგთა ბედის მობურთალად ბედმა შეჰქმნა მრავალ-  
ჯერა,  
თუმც მისი პატიოსნება, ძალმაც კი არ დაიჯერა.

—:—  
და გამოადგა „ღირსეულს“ მამის ნასწავლი ხელობა,  
აბრამის ბატქანდ თავს თვლიდა, სადაც არ სჭრიდა  
მელობა,  
მინისტრი შინ და გარეთა დიპლომატ - ენამჭრე-  
ლობა, —  
ემარჯვებოდა, ემარჯვის ომისთვის ჩხირკედელობა.  
სჭირს მუცლის გვრემა საბჭოეთზედან და ცოფთა  
მგვრელობა,  
ბევრჯერა სცადა ატეხვა შუღლის და სისხლის-  
მღვრელობა,  
მაგრამ გაუგეს მულამი, არ გაუვიდა გველობა.  
იქ გერმანიას ყელში სწვდა, დახრჩობა მოუწადინა,  
ბალკანეთს ხლართა ქსელები, ავსტრიას ბლდვირი-  
ადინა,  
წეთითხნა სახელმწიფონი, ანტანტა დააბადინა.  
კვლავ „ან-ვეროპის“ „მშვიდობით“ ომის საფრთხენი  
აძინა!

და იფიქრა მაშინ გულში: — მე რათ დავრჩე  
არისტიდათ?,  
ნაპოლეონ ზონაპარტის განა ტახტი არ მიცდიდა?  
პრეზიდენტის საფარმელი ტახტის დარი არის დიდათ,—  
უარს როგორ მაკადრებენ?—აი საცა არის ვცდი და!  
(და, არც ხუმრობს—სამისოდ მეტრაქ ტირეს მამაც  
ზრდიდა),  
მის და ნაპოლეონს შუა განსხვავება არის ციდა.  
სთქვა და ფრაკი გადაიცვა, მიაშურა სწრაფად სენატს,  
ჯერ მეგობრებს გაუშხილა, შემდეგ სხვებსაც  
მოახსენა:

— ჩემისთანა პრეზიდენტი — ეიფელს და ფვიცავ  
სენას,  
ჯერ არაღნ გაეჩინოს მამაუფალს ჩვენსა ზენას,  
ამირჩიეთ და ბედსა გწევთ—არ შეხვდებით ჩემგან  
წყენას.

საქმე „გაჩარხა“, დაპირდენ თავი არ დაუქნტია,  
სახლში ცოლს უმხარობლა:—ვიქნები პრეზიდენტი,  
აწ ნახეთ სისხლით ევროპა როგორ ვქნა განაუღენთა,  
საბჭოთა კავშირს მოვავლო ინტერვენციის ლენტი.

—:—  
მაგრამ რეგვენის ბჭობასა, ბედი დასცინის შორითა,  
„ლორს წამოუწვენს“ ფეხებში, თვით ლორს — გულ-  
მონაღორითა,  
ბრიანსაც ბრანწი უჩვენეს, იშვილით ბარე ორითა,  
ტრიუმფის ეტლით მოსული შინ გაისტუმრეს ჯორითა,  
სავარძლის ნაცვლად კალოში ჩასვეს — არ ვამბობ  
ჭორითა

—:—  
ჩაეფუშა იმედები ნაპოლეონ ზონაპარტის,  
მთლად ბითური მოუვიდა ყველა ტუზი მისი კარტის,  
ზემო-თაროს ვერ წამოუჯდა, და რაც იყო შერჩა  
არც ის.

— კალოშ, ბრიანს!... ბრანწი ბრიანს! მოემატა ჯავრზე  
ჯავრი,  
„მავრი მორჩა თავის საქმეს, სჯობს წავიდეს უკვე  
მავრი“..  
და თუ დღესაც კვლავ ლაქლაქებს, ხვალ იფხანდეს,—  
ენახავ ქეჩოს  
სხვა რა დარჩა? ან მახათი, ან დაჯდეს და მატყლი  
ჩეჩოს.  
ფარსადან.

## ქველი ცოდვები

ნახ. ღონის  
ამხ. გიორგი ხაჭაპურიძემ გაზეთებში გა-  
მოაქვეყნა არქივში არსებული ცნობა ნოე  
ჟორდანას მიერ 1901 წელში აზნაგების  
გაცემის შესახებ.



\*) ბრიანი პავრელ მეტრაქტირეს შვილია, რომელსაც  
მამა მისი ზრდიდა „ღირსეულ მედუქნედ“.



# კალვის ჯვარი

რომის კავს.

აჩუ ცხენო, — ხარბაზანო,  
აჩუ, ჩემო ცხენო  
სიასლის დვარის ასაჩქეფად  
მინლა გაკაჭენო.  
ვარ მშვიდობის მოციქული,  
დადი პაციფისტი,  
დამიჯერეთ მორწმუნენო,  
თავში თუ გაქვთ ბისტი.

## ჩემბარლენს.

გომინტერნი არ გასვენებს,  
პირზე დორბლი გიდის,  
ანლაზა: — ძალლი ყევს და  
ქარავანი მიდის.

## „მეფე“ ალფონსს.

ტახტიდან გადაყრავდი,  
ალფონსო, მეფევე ყოფილო;  
თვითონ იწვნიე — რას ნიშნავს  
მისები უკმაყოფილო.  
ვით ღონკიხოტი უკვალოდ  
დასვალ და დაეხეტები,  
შენისთანებს არა ერთს  
კვლავ მოეხრებათ ქედები.  
წახველ და ისე წახველი  
აგეწვა კუდის რიკია;  
ახლა-ჯან, იგი გვითხარი  
შენს მერე ვის რიკია.

## დეტერლინს.

რა საჩიროთო სახელია  
სიტყვა დეტერლინგი,  
მეხატება წინ ცხოველი,  
და იმისი დინგი.

დეტერლინგმა, როგორც დინგმა,  
ბევრი თხარა, თხარა,  
მაგრამ ბოლოს მაინც ცეცხლზე  
ნავთი გამოთხარა.  
იმის დამწვარ გოლს და სხეულს

# ასეა საქმე ესპანეთში

(წერილი ესპანეთიდან)

„ესპანეთში გაჩნდა მეფე. ეს მეფე  
ვარ მე.“ ასე იძახოდა ესპანეთის მე-  
ფე კლფონს მეცამეტე, გვარათ ბუ-  
რონი.

მეცამეტე გოჭიც ვერ ხეირობს,  
თორემ მეფე, ისიც მეცამეტე, ისიც  
ახლანდელ დროში, როგორ იხეირე  
ბდა?!.

ამიტომ აუფა ეს ჩვენი ალფონსი  
და გადადგა. გადადგომა ქვია, თო-  
რემ რომ არ გადამდგარიყო, მაინც  
გადააყენებდენ. გადადგომისთანავე  
პარიზისკენ გასწია თავის ძმებთან  
კაპიტალიზტებთან, იქიდან ინგლისს  
ეწვია და როგორც ამბობენ კარგა  
მოზრდილი სავაჭრო გახსნა.

ესპანეთში ალფონსის ტახტს მექა-  
რხნეები, მემამულეები, ეპისკოპოსე-  
ბი და მენშევეკები დაეპატრონენ.

— რევოლიუცია გათავებულად  
ითვლებაო, — გამოაცხადეს ამ პატი

ოსნებმა და შეუღდენ ალფონს მე-  
ცამეტეს საქმეთა გარძელებას.

ესპანეთის მუშებს და ვლეხებს მე-  
ტად გაუკვირდათ ეს ამბავი, ჯერ  
ხუმბრობა ეგონათ, ხოლო შემდეგ,  
როცა დარწმუნდნენ, რომ ვაჟბატონი  
ზამორა (ახალი მთავრობის თავჯ-  
დომარე გახლავთ) მართლაც ათაგე-  
ბდა რევოლიუციას, ხელი გამოიღეს:

— ჩვენ ფართო მასებს გვინდა ბუ-  
რი, მიწა, თავისუფლება და მუშურ-  
ვლესური ხელისუფლება, — განაცხა-  
დეს ფართო მასებმა.

— ამა ერთი ფართოდ დასცხეთ  
მაგ ფართო მასებს, — უბრძანეს გვარ-  
დიის სამოსში გადაცმულ უანდარ  
მებს სუცებმა და ბურჟუებმა.

— დაცხება ვერც არ უნდაო, უპა-  
სუხეს მასებმა და შეუღდენ ბურჟუ-  
ების და მათი ლაქიების ცემა-ტყეპას.  
ისინი ამით არ კმაყოფილდებიან და  
სწვავენ ეკლესია-მონასტრებს, ამ სი-  
ბნელის კერებს, ისინი სრულებით არ  
სწყალობენ ბერებს და სუცებს და  
ესპანეთიდან ერეკებიან მათ.

ახლა ესპანეთიდან ხურჯინებ გა-  
დაკიდებული მობიან ბერები,  
ღვდლები ზოგიერთი ლენერლები,  
ბურჟუეი და მენშევიკები.

— გვეშველეთ, რევოლიუცია და-  
გვამთავრებინეთ, ყვირიან ბურჟუ-  
ები და თან ტყვიებს უშენენ მუშებს.

— რევოლიუციას ჩვენ თითონ და-  
ვამთავრებთ, უპასუხებენ მშრომელი  
მასები და მაგრად ურტყამენ მათ.

მელიტორნა

რალა დააშუმებს,  
და ამაოდ მეჯილის ქნევით  
სწყევლის ბაქოს მუშებს.

## მუსოლინს.

საზღვაო ძალებს ადიდებს  
მაკრონალდი და ბრიანი,  
შენ კი მათ ტემპებს ჩამორჩი  
გულმა დაგიწყო ფრიალი.

## კილსუდსკის.

კავშირის ეშხით იწვები,  
გვიქსელავ კომბინაციებს;  
ცხელი „დარები“ გიდგება,  
ალბათ იმიტომ ვაცივებს.

მ—ზა.

ნახ. ალდადნოვას.



ს.ო.ს.-ვაზისტი (პოლისმენს): — კმარა, ეყოფა; ხელები ისევ შეუპარიო, თორემ ჩვენც მოგვაყოლებს  
ზედ... აჟ მაგ აღარ არის საჭირო!



ლიპარტია ქიამცეტარაძე ყოველთვის გა-  
ურბოდა სოფელში სამუშაოდ გაგზავნას.  
დიღხანს „ინახავდა“ თავს ასეთი სახიფათო  
საქმისაგან. მაგრამ ბოლოს ცეკამ მიიწვ გავ-  
ზავნა ბამბის რაიონში თვის კამპანიის ჩა-  
სატარებლად.

როცა ეს ლიპარტიას გამოუტყდა, ის  
წელში მოიხარა, თმები აებურძგლა და მოს-  
ხლეტილი ჩაჯდა.

—ნუ ჩადგებით ჩემს ცოდვამი. ცოლი  
მიკვდება და საოპერაციოთ წვიცეცად სწო-  
რედ დღეს დილით საავადმყოფოში.

— ცოლს საავადმყოფოში მოუვლიან.—  
იყო მოკლე პასუხი და პასუხთან ერთად ლი-  
პარტიას მივლინების მინდატივ ჩაბარეს.

ლიპარტია გულ შემოყრილი დაბრუნდა  
სახლში. ის შეწუხებული დაგორდა ტანტზე  
და ისეთი ამოიკენესა, რომ მისი ორი პატა-  
რა ბეჭედი კი შეაშინა.

მეორე დღეს გადსწყვიტეს რაიონში გამ-  
გზავრება. ბავშვები სოფელში გაგზავნეს ბე-  
ბიათთან.

ცოლქმარი უკვე ჩავიდა ბამბის რაიონში.  
ლიპარტიამ დაიწყო „ხელმძღვანელობა“.

ის ან პატარა ანარაონში იჯდა, ან ეფემიას-  
თან ერთად, (თუ კარგი ამინდი იყო) მინ-  
დორნივ გაივლიდა და ეფემიას მწვანე მინ-  
დორებს აწოებდა.

ლიპარტიას ასეთი „ხელმძღვანელობა“ არ  
ქოუნან ადგილობრივ გლეხობას.

ერთ მშვენიერ დღეს ლიპარტიამ გავლენ-  
ში წახა თავისი და ცოლის სურათი, რომ-  
ლებიც „ბუნებით“ სტკებებოდნ.

ამ ამბავმა ლიპარტიას თავზარი დასცა:  
— რაღა ვქნა, გენაცვალე. მიშველე!

ეს სიტყვები კანკალით წარმოთქვა ლი-  
პარტიამ. ეფემიაც ძალიან შეაშინა ქმრის  
ასეთმა საქციელმა, მაგრამ, როცა გაიგო  
საქმე რაშია იყო. მარს დამწვრდება დაუ-  
წყო.

ეფემია უკვე პატარებელში წის, ხოლო  
სადგურის წინა ბაქანზე ლიპარტია დგას და  
ორივე ხელის გამწარებული შლის.

— მშვიდობით. მშვიდობით, ჩიმი ეფემია.  
ლიპარტია აცრემლებული დაბრუნდა სად-  
გურიდან ანგარანში, ხოლო ეფემია, რომე-  
ლიც მატარებლით ტფილისისაკენ მიეჭახე-  
ბოდა გულმოდგინეთ უამბობდა მის თავგა-  
დასავალს ერთ სტუდენტს. რომელიც ეფე-  
მისთან ერთად „ბამბის ფრონტიდან“ რო-  
გორც დენგრტირი გამობოდა.

— ჩემი ქმარი, ჩემი ქმარი უსუსური კაცია,  
ნამდვილი ბაყაყია.— ასე ანასიათებდა ეფე-  
მია თავის ქმარს და მეტად ახარებდა, რომ  
ასეთ „საინტერესო“ ახალგაზრდას გადაეყა-  
რა.

— თქვენ იშვიათი თვალით და ფეხები  
გაქვთ. მე მჯერა თქვენი გაჭირვება ბაყაყ  
ქმართან. — ანუგეშებდა ეფემიას თმა აჩე-  
ჩილი სტუდენტი და თვალეზში თვალს უყ-  
რიდა.

ტფილისში ჩამოვიდნ, ვინაიდან ეფემიას  
სახლში მისვლა არ შეეძლო, ამიტომ დაუ-  
ჯერა სტუდენტს და გაჰყვა მას ბინაზე.

გავიდა ერთი კვირა. ლიპარტიამ 10 წე-  
რილზე ერთი პასუხიც ვერ მიიღო. აქლო-  
შინებული ჩამოვიდა ტფილისში.

სახლი დაკეტული დახვდა.  
— სად არის ეფემია, ვაი ჩემო თავო, სად  
ხარ ჩიმი ეფემია.

ლიპარტიას ცოლის დაკარგვამ დააეიწყა  
ბამბის ორონტი. პარტიაც და ყველათირი.  
სახლში მდიდრანზე წამოგორებული ცრემლე-  
ბად იღვრებოდა.

ერთ დღეს, 10 საათი იქნებოდა, როცა  
კარგზე კაკონი გაიხმა. მის სინარულს საწოლ  
ვარი არ ჰქონდა, როცა გაოებულ კარებში  
ეფემია შემოვიდა.

მაგრამ ეს სიხარული დიდხანს არ გაგრ-  
ძელებულა. მეორე დღეს ლიპარტიამ გამოთ-  
ში წაიკითხა ცნობა პარტიიდან მისი გამო-  
რიცხვის შესახებ.

ფინთინი



—გამიგონია: ცდა ხელის მონახევრეთ... მე კი კოლექტივის დაშლის  
ცდამ ბედი გამინახევრა!

### ს უ ფ ს ე ლ ი ე ს ო ფ ა

დურგალით არტელს ვხელმძღვა-  
ნელიბო,  
ვარ მოქნილი მეტყობაო.  
ვასაძე ვარ, ვინ არ მიცნობს,  
და ჩახელად ესოფაო.  
ვის ხელფასში ვატყუილებ,  
ვის მასალას ვაქლევ ძვირად.  
ერთი სიტყვით ასეთ რასმეს  
თქვენ შეხედებით ჩემგან ხშირად.  
ამდენ მუშას თითო გროში  
არც თუ რამედ დააკლდება,

მაგრამ ყველა შენაგროვი,  
ჩემსა ჯიბეს წაადგება.  
ხალხს ბეები გამოვსტყუე  
კვაჭისტური ხრიკითაო.  
ეხლა მსდევნ სანახავად  
აქითა და იქითაო.  
ჯერ-ჯერობით ფონს მივდივარ  
ლიღინით და რიხითაო;  
მაგრამ ვაი თუ კი შემდგენ  
ხურგზე ყველა წიხლითაო.  
შანცი.



# ანკეტა ბრიანზე

# ახალი ავადმყოფობა

ნ.ბ. დონის

იცით რა არის პოლიტიკური უზრდელობა?

ვინცა მკითხავს, თუ რა საიდუმლო გზებით მივ-ენი ერთა ლიგის არქივს.

მივაგენი, მორჩა და გათავდა!  
თქვენ მხოლოდ ის მკითხეთ!  
საინტერესო რა ვნახე იქ?

თუ პირს ვიზამთ დღევანდელ პოლიტიკურ განგაშისკენ, ყველაზე საყურადღებო უნდა ჩაითვალოს ანკეტა ბრიანის შესახებ. მეც ამას გადავივლით თვალწინ საერთაშორისო გამოფენასავით.

ანკეტა შეეხება ბრიანის პოლიტიკურ პლატფორმას.

აზრი გამოთქმულია ყველა სახელმწიფოების მიერ, მაგრამ მე გაცნობთ მხოლოდ რამდენიმეს.

კითხვა ასეთია:

— როგორია პოლიტიკური შეფასება ბრიანისა თქვენს მიერ?

პასუხები:

1. „ყველაზე მტკიცე და ავტორიტეტუანი დამცველი მცირე, ანტანტისა. დულაღავი მუშაკი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბლოკის შექმნაში. რუმინეთის „სამართლიანი“ იმპერიალიზმის ხელის შეწყობი. საერთაშორისო ბოლშევიზმის წინააღმდეგ მუდმივად საუკეთესო ფალაგანი.“

ნიკოლაი (რუმინეთი)

2. პოლონეთის უძლიერესი მხარის დამკვირვებელი გერმანიისა და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბრძოლაში. ვერსალის აღვირით საუკეთესო ამლაგავი გერმანიის თავებდობისა. მუდმივი მოჭობა და წამქეზებელი საბჭოების საწინააღმდეგო ბლოკისა და იმისა, ყველაზე მაგარი „დამკვირველი“ ბურჟუაზიული მსოფლიოსი.

ჯალმსკი (პოლონეთი)

3. უბრიანო ბოლშევიკები შესკამდნ მხსნელი და მფარველი მსოფლიო მუდროებისა კომუნისტების საფრანგისაგან. ავტორი „პანევროპიული“ ევროპისა, რომლითაც საუკეთესოდ იქნება შებოჭილი გერმანია და ალაგმული — საბჭოთა კავშირი.

ბენეშ (ჩეხო-სლოვაკია)

3. გერმანიისა და ავსტრიის სულის ამომხდელი. ბნელი პოლიტიკური კომბინაციების მატარებელი. ოქროსი, იარაღისა, დიაბლომატიური ხერხების დაუზოგავი მფლანგვენი ცენტრალურ ევროპის ფეხქვეშ გასაქეზად. ბურჟი და ნუგვში საფრანგეთის რეაქციისა ყოველ გაჭირვების მომენტში.

შუმბერი (ავსტრია)

4. პოლიტიკური დიქტატორი და მარჯვენა ხელი საფრანგეთის იმპერიალიზმისა. ვერსალის ხელშეკრულების გეგმის შემსრულებელი — გადაქარბებული.

ბრანდი (იტალია)

5. ენატუბილით მოუბარი უსასტიკესი ჯალათი იარაღაყრილ გერმანიისა. უსასტიკესი მტერი და მოწინააღმდეგე მისი წარმატებისა. გერმანიის შემდეგ უდიდეს ბოროტებად მსოფლიოში წარმოუდგენია — საბჭოთა კავშირი. მას შეუძლია მთელი მსოფლიო ააფეთქოს, ოღონდ კი ასიამოვნოს საფრანგეთის იმპერიალისტებს და შოვინისტებს.

კურციუსი (გერმანია).

6. დღევანდელი დღის უდიდესი იმპერიალისტი. მას უნდა მთელი ევროპის ხელში ჩაგდება და ისიც უთარაღოთ — „პანევროპის“ საშუალებით. საბჭოთა კავშირის მოწინააღმდეგეთა დაუცხრომელი ხელმძღვანელი.

მენდარსონი (ინგლისი)



— რა დამართია, მაიკო ამ შენს ქმარს!  
— რა ვიცი, შენი ჭირიმი! რა ლაც კამპანიის ქაღალდი მიიღო და მაშინვე გააცივ-გააცხელა. ყოველთ ვის ასე ემართება ამნაირი ქაღალდის მიღების დროს!

7. ვინ არის ბრიანი? განიარაღების ფაქტობრივი მოწინააღმდეგე. ხმელეთზე და ზღვაზე გააფრთხილებული შეიარაღების მასწავლებელი. საბჭოთა კავშირის დაუძინებელი მტერი. გერმანიისა და ავსტრიის ტერორისტი, მცირე ანტანტის ქორ-მეცხვართა ბაზიერი. მსოფლიო იმპერიალიზმისა და რეაქციის უდიდესი ბურჟუაზიანი.

### ლიტვინოვი

ასეთი არის უცხოელების მიერ ბრიანის შეფასება პოლიტიკურად.

ანკეტის უკანასკნელი ფურცელი შეავსო თვით საფრანგეთმა ვერსალში ა.წ. 13 მაისს.

ამ ანკეტაში ნათქვამია:

„...ბრიანს, როგორც საფრანგეთის იმპერიალიზმისთვის არასაიმედო პიროვნებას, როგორც მემარჯვენე გადაზხრელს საბჭოთა კავშირისაკენ, როგორც ავსტრია-გერმანიის ფაოულ მეგობარს — საპრეზიდენტო არჩევნებზე მიეცეს მხოლოდ 401 ხმა (ისიც ხათრის გულისათვის). უფრო ღირსეულ რეაქციონერსა და იმპერიალისტ ლუბერს კი მიე-

ცეს 449 ხმა და არჩეულ იქნას პრეზიდენტად“.

ამგვარად ბრიანის კანდიდატურა უკუგდებულ იქნა საფრანგეთის მიერ — როგორც პოლიტიკურად არასაიმედო პიროვნება.

ბრიანს ასე შეურაცხყოფილად არასდროს არ უგრძნენია თავი მთელი თავისი კარიერის დროს.

მან მოითხოვა, რომ მიეცეს საშუალება თავის მართლებას.

ვერსალში თავმოყრილმა 900-მა რჩეულმა ფრანგმა შეიწყნარა იმისი თხოვნა:


გამოსაცხადებლად დაუნიშნეს „ევროპის კომისიისა“ და ერთა ლიგის საბჭოს სესიებზე უნევაში.

ბრიანიც ამიტომ გააფრთხილებით იბრძვის ენლა უნევაში: ის სცდილობს, დაიმსახუროს „ვერსალელების“ ყურადღება და 1938 წელს მიერედ წამოაყენოს თავისი კანდიდატურა:

მეტი...  
ეგები მაშინ მანც აღიხონ პრეზიდენტობას.

ნადირი





ს.ვ.ა.

## მომარაგება

ერთ-ერთი ტრესტის მოსამსახურემ პანიკაში იშლება სულ სამ საათზე წვალთ თავის ბანის კარება და უკან ბათი ცხვირზე თითები იტაცა.

— ფუ! ფუ! ნჩხ! ნჩხ! — მოუხშირა ცხვირის ცემა.

— ზახრუმას!.. უპასუხა ცოლმა — ტასიკომ, რომელიც დიდ სარკის წინ იდგა და თმას იხუჭუჭებდა.

— შენცა! — უპასუხა პანიკაში იშლება და ცხვირსახოცი ცრემლების წმენდა დაიწყო.

— იცი, ტასიკო, რა ამბები ხდება?

— რა? — იკითხა ზანტად ტასიკომ.

— რა და ბაქოში ნავთი შრება და მალე გრამობით გაიყიდებაო, ისიც სპეციალურ ორდერებითო. ჩქარა უნდა მოვიმარაგოთ, თორემ დავიღუპებით.

— მე ვერ ჩავდები როგორც, შენ ჩადექი, ერთ დღეს ვიდექი და ვილაცა ხულოგნებმა სულ გვერდები დამიზილეს.

— წადი, ამოალაგე პროდუქტები აბაზანიდან, რომ შიგ ნავთი ჩაეასხათ. მე კი მეზობლებში გავიქცევი და ქურჭლებს მოვავროცებ. — სთქვა პანიკაში იშლება და გაქრა...

იმავე დღეს პანიკაში იშლება 15 ფუთი ნავთი მოიმარაგა. შუბლზე ოფლის ღვარი ჩამოსდიოდა. მეორე დღეს კი ქუჩაში მიდიოდა და გულში მღეროდა:

სურსათსა და სანოვაგეს არ მოიკლებს ჩემი დინგი, ნავთის ზღვა მაქვს ჩემ ბინაზე, ვერ მაჯობებს დეტურდინგი.

— ნავთი! — ნავთი! — შემოესმა ამ დროს მუშკოვოვის ნავთის ხელზე გამყიდველის მოულოდნელი ხმა.

პანიკაში იშლება და გაქრა.

ზურნა



# „გულითადი მისალმება“

ჩავიდა თუ არა ამხ. ლიტვინოვი ქენევაში, სადაც ამჟამად მიმდინარეობს ერთა ლიგის სესია, ბ-ნმა ბრიანმა „უგულითადესი“ მისალმება გადასცა მას ყველა სახელმწიფოების დელეგატების სახელით.

დაიჯერებთ განა, რომ ბრიანს და მის გვერდით მსხდომთ ძალიან ესიამოვნათ ლიტვინოვის ჩასვლა, ან ძალიან სურთ მისი დღერგძელათ და ჯანმრთელად ყოფნა?

ამხ. ლიტვინოვმაც ასეთივე „გულითადი“ მადლობა მიუხლო მათ, უსურფა დღერგძელობა და ჩამოჯდა სკამზე.

როცა ამხ. ლიტვინოვი სკამზე ჯდებოდა პოლონეთის, რუმინეთის და სხვ. დელეგატები ჯავრისაგან გულზე ხელს იბრაგუნებდნენ, მაგრამ, როცა ამხ. ლიტვინოვმა მიიხედ-მოიხედა, დელეგატებმა დახვაცეს კბილები, თითქოს ძალიან კარგს გუნებაზე იყვნენ და დიდათ შეჰხაროდნენ უცხო სტუმარს.

„გულითად მისალმებას“ შედეგად მოჰყვა დელეგატებზე გადაჯგუფება სკამებზე. ყველა ცდილობდა ახლოს მისულიყო ტრიბუნასთან, მაგრამ თითქოს ინსტიქტიურ შიშს გრძნობდა, ერთ ფეხს წინ რომ გადადგამდა, მეორე უკან მიჰქონდა.

ამხ. ლიტვინოვის მოხდენილი ფიგურა გაიჭიმა ტრიბუნაზე. ვაისმა ძარღვიანი სიტყვა. დელეგატებმა და-ცქვიტეს ყურები.

— თქვენ, — დაიწყო ამხ. ლიტვინოვმა, — გლახა სენი დაგეშართათ, რომლის სახელია კრიზისი. მიხეზი ამისა არის, რომ „ზასორენიე“ აქვს თქვენს გოგრებს. ეს თავები, რომლებიც ეხლა თქვენ კისერზე გაბიათ, უნდა გადავყაროთ, თუ ვინდათ ეგროპამ სული მოიბრუნოს და სასიცოცხლო გზას დაადგეს.

არ იფიქროთ, რომ თქვენი სენი საშიში იყოს ჩემი ქვეყნისათვის. არ მოგიკვდეს ჩემი თავი.

არც ერთ სახელმწიფოს არ შეუძლია წამალი მოუძებნოს ამ სენს გარდა საბჭოთა კავშირისა. საბჭოთა კავშირი ამ წამალს არ იშურებს, მაგრამ ჯერჯერობით საჭიროა დაჩირქებული ადგილების ამოკვეთა.

გტყობოდა ამხ. ლიტვინოვს ასეთ მუწუკებად და დაჩირქებულ — ადგილებათ დელეგატების გოგრები ჰიანდა, მაგრამ არ სთქვა მთლად პირდაპირ.

ისე კი მოსდ და ზრდილობიანი სიტყვებით სულ კულის რიკამდე ტყავი გააძრო თვითეულ კაპიტალისტურ სახელმწიფოს სისტემას.

არავინ არ იყო კმაყოფილი იმით, რაც სთქვა ამხ. ლიტვინოვმა. არც ლიტვინოვი იყო კმაყოფილი მით, რაც სთქვა როზა დენ კაპიტალისტურა მსტემის „გოლიათები“ და მათი ფანეზი, მაგრამ მაინც თავაზიანად შეხვ-

და მათ, როცა კორიდორში გამოვიდა.

გუყურებდი და თვალს ვერ კაშორებდი ამ სურათს. მტრები გარს შენორტყმოდნენ ლიტვინოვს და ეუბანებოდნენ: „მიიღეთ ჩვენი თქვენდამი პატრიუსცემა და სხვაო“.

ლიტვინოვი გოლით უბასუხებდა: მიიღეთ ჩემგან ლახვარი და ბოლშევიკური რისხვა“.

სევეირ-ბენ-შეის.

## არს ფიცი გვზავს, არს გოლო გვაპვირვებს

ნახ. რევზახილის.



— საკვირველია, ამდენს ვყვირი და მაინც არავის სეჯრა... შედეგა პირიქითა!





ჩემი ოთახი მოთავსებულია ორი მეზობლის ბინების შუა.

გაუქმებულ შუა კარებიდან კარგად ისმის მათი ლაპარაკი. ყველაფერი დაწვრილებით ვიცი მათი ამბავი, მაგრამ მათ შესახებ ცუდი არსად წამომცდენია.

ხოლო, თუ ახლა ვამბობ, — ეს მხოლოდ იმიტომ, რომ...

არაფერი, „იმიტომ“... დეე გაფონ... მე მათზე უფრო მომბეზრდა მათი ჩხუბი და აყალბაყალი.

**მეზობელი პირველი**

**ცოლი:** — ის დღე ამოვარდეს კალენდარიდან, რა დღესაც შენ გაგიცანი. თუ ცოლის რჩენა არ შეგეძლო, რათ მიერთავდი ცოლად?

**ქმარი:** — რა გაყვირებს, ქალო?

**ცოლი:** — რას აბრალებ მაგ კატის თვალებს! შენი მეზონია თუ! ჩაიხედე სარკეში რასა ვაგხარ. რიჟა ხარ ნამდვილი რიჟა, ცირკში რომ გამოდიხ, „რიჟი პამაგაი“.

**ქმარი:** — ენა დაიმოკლე, თორემ...

**ცოლი:** — თორემ რა, შე რიჟა, შენა! ტურასავით რიჟა ხარ, ტურასავით. ფუ! მიკვირს ამასთან როგორ ვწვები. „რიჟი პამაგაი“. ასე გგონია ყაცს — ცეცხლს შეუტრუსავსო... ვაი დედა, რავე დაჰიღვა თაღლები და ამ რიჟას გამოეყვე. ცოლად.

**ქმარი:** — მოთმინებიდან ნუ გაბოძიყვან, თორემ...

**ცოლი:** — ხა-ხა-ხა-ხა... „რიჟი პამაგაი“... „რიჟი ჩორტ“.

**მეორე მეზობელი**

აქაც სცენა ცოლსა და ქმარს შორის

**ცოლი:** — შენ ცოლის ლირსი კი არა, გონ ა ძაღლის ლირსიც არა ხარ.

**ქმარი:** — ქალო, ნერვებს ნუ ამიშლი და იუ...

**ცოლი:** — ერთი ამას დამბედეთ რა ამირანი მყოლია? ხა-ხა-ხა-ხა. ერთი ამას შეხეიოთ, ამ წყნეთელ მენახშირეს! ოჰხ. რომ იცოდე როგორ მეჯავრები! სულითაც ისეთივე შავი და

მურტალი ხარ, როგორც სახით. ჩაიხეი სარკეში: კაცის გაროა. აიოო-ფერს ვაგხარ.

**ქმარი:** — შენ მყავხარ „მზინიირი ელინე“ აი!.

**ცოლი:** — ენა, ენა, შე კამეჩო შენა; აფრიკელი ზანგი, ველოური ნეგრი, ანდა გემის ცეცხლფარეში შენთან შიორებთ ამურია, ანგელოზი.

**ქმარი:** — ახლა აღარ მოგწონვარ!

**ცოლი:** — როდის მომწონდი, შე შენახშირეუკ შენა? მაიმუნის ხარ, ნამდვილი მაიმუნი, შიშხანა-გუტანა, გორილა.

**ნერვებაშლილი ქმრები ჩემთან**



ბენ. (ცოლებს ზგონიათ თითქოს სადღაც ქუჩაში გაიჭრენ).

**ცოტა ხნი შემდეგ მათი ცოლები აივანზე შემდეგ სცენას მართავენ (სცენა იწყება საერთო სამზარეულოში, საიდანაც აივანში გამოდიან ხმაურითა და გინებით):**

**სცენა აივანზე**

(შახმატის თამაშს თავს ანებებენ და სამივენი მათ ვაყურადებთ).

**პირველი (ე. ი. „რიჟას“ ცოლი):** — „ფერი ფერსა, მადლი ღმერთსა“ სწორედ თქვენზეა თქმული: ბრმა ხომ არა ხარ, რომ ვერ ხედავდე თუ რასა ჰვავს შენი ქმარი! კაცს შეხედვა შეეშინდება — ისეთი შავია. აღბად ზანგის ბუშია.

**მეორე (ე. ი. „ცეცხლფარეშის“ ცოლი):** — უკაცრავად ბრძანდება. ჩემი ქმარი შავგვრემანი, ბრიუნეტი გახლავს. ნამდვილი მამაკაცია. აბა შენი ქმარისთანა რიჟა უნდა იყოს მამაკაცი? ფუ! მიკვირს როგორ უწვები ლოგინში, მარ შენაც ისეთივე მურტალი ხარ.

**პირველი:** — უკაცრავად ბრძანდება. ჩემი ქმარი თეთრფეროვანი, ბლონდინი გახლავს; აბა, შენი ქმარისთანა მენახშირე ხომ არ იწიბა?

**მეორე:** — იმიტომ გიყვარს „სე“ ძლიერ? ხა-ხა-ხა-ხა!.

**პირველი:** — დიახ, მიყვარს. აბა შენსავით შევიძლებ ქმარს? ვენაცვალე ჩემს ქმარს მის თეთრფეროვან სახეში.

**მეორე:** — ჩემსავით გაგიყვებით ჯერ ქმარი არც ერთ ცოლს არ ჰყვარება. ვენაცვალე მას მის შახიან შავგვრემან სახეში.

გაშტერებული მეზობლები ერთმანეთს ლიჭქერენ.

უნდათ გაეარდენ გარეთ და ალტაცებით ჩაიკრან თავიანთი ცოლები, მაგრამ ეშინიათ — ვაი თუ სხვა ქარმა გაუქროლათ და დაეცხეს!

— არ ვყოფილვართ მთლად წყალწალებულნი. — ულოცავენ ერთმანეთს და არძობან შახმატის თამაშს.

ჯამაგირის მიღების დღეს, როცა ქმრებს ბლომად მოაქვთ ფული, ორივე ცოლ-ქმრებს შორის მყარდება „ქვეყანასა ზედა მშვილობა და კაცთა შორის სათნოება“.

ცოლები პატარა ბავშვებით შემოუჯდებიან ქმრებს მუხლებზე და ეალერსებიან:

— ჩემი მშვენიერი, ჩემი თეთრფეროვანი, ჩემი ბლონდინი!

— ჩემი მშვენიერი, ჩემი შავგვრემანი, ჩემი ბრიუნეტი.

დიდება შენდა, დიადო დარვან, რომ აღამიანებს აღმოგვიჩინე ნამდვილი წინაპირი — მაიმუნი.

ისელი.







# ლორის მადლობა

ნახ. აღდადანავას.

უთავბოლოებით და დაუდევრობით მუშაობას საწყობებში აუარებელი უბოტნეულობა და ხილი დაუღება, — ეს იმ დროს, როცა ბაზარზე ამ საქონლის ნაკლებობა იყო.



— ჩვენზე ამბობენ: ღორი უმადური ცხოველიაო. ტყუილია ეს თქმულება. დიდ მადლობას ვუცხადებთ იმ ჩვენს ძმობილს, რომელიც მუშაკობაში ზის და სურსათ-სანოვავებს არ გვაკლებს!

## „გემიანი მუშაკობა“

19 მაისს მუშაკობის დაუდევრობით კოლპერატივებში იყიდებოდა განუსაზღვრელი რაოდენობით დეფიციტური საქონელი, რითაც ისარგებლეს სპეკულიანტებმა.  
(გაზეთებიდან)

მუშაკობის გამგეობა საქმეს ჩადის სანაქებოს, გამუდმებით მასზე ზრუნავს უკეთ როგორ გამოგვევბოს. და ამ მიზნით ის ყოველგვარ დაბრკოლებათ ზღუდეს აპობს, და მრავალგვარ სანოვავებს საწყობებში მიტომ აპობს!  
კარგათ იცის, რომ ამითი თვის ჯიბიდან არას აგებს, და ნოქარიც სანოვავით თავის ოჯახს ამარაგებს.  
მიაქვს სახლში რაც კი უნდა დროს არ კარგავს ტყვილა უქმად, და საეაქრო — მუშაკობის გაუხდია თავის ოოქაად!

მეგრამ მუშაკობს 19 მაისს თავში აზრი დავბადა: გაიფიქრა — ხალხისათვის ხომ ნიადაგ კარგი მწადადა.  
მოდო ისეთ საქმეს ვიზამ ყველამ მლოცოს, ყველამ მაქლს, ესა სთქვა და საქონელი გაიტანა საქულებაქოს.

განაცხადა: ყველასათვის რიგდებოდეს უხვად იგი: გაცაუქმდეს აწ წიგნაკი საქიროა არცა რიგი.  
მოდით ყველამ — გაიტანეთ ყველაფერი ბლომად არი, ყვერცხი, ბრინჯი და საპონი მაკარონი და შაქარი!  
გაჩნდა უცებ დაკა-დაკა დადგა ფეხზე ბაზრის ჯარი, და მუშაკობათა დუქნებშია ატყდა ომი საშიშარი!  
ზოგსა კბილით, ზოგსა მუშტით, მკლავის ძალა ვისაც ჰქონდა, ტომრით, აბგით, კალათებით საქონელი გამოჰქონდა.  
სპეკულიანტ-დაოალები გამალებით მიმოჰქროდა: იძახოდენ — მუშაკობათ შენი მამა მართლა ცხონდა!  
—:—  
ხედავთ კვალათ ვით „აღრმავებს“ მუშაკობი დეაწლსა თვისას, გეგმიანად მუშაობა მან თავიდან შეითვისა!  
მიტომ ხდება ასეთი რამ ეს. სულ სიბორონის ნაყოფია, ამის შემდეგ კიდევ იტყვიოთ: „მათ თავში ჰყავთ ოფოფია?“

ზარი-ზური

## გაიხუზანი

(ჩახატაურის რაიონი)

წერილს გწერ ლექსად, ნიანგო, არ მიყვარს ნაკლის მალვაო. მსურს — კვანტი გავკრა ექვთიმეს, გავამათრახო შალვაო.

პარმენსაც უნდა შევეხო, ვით ენამახვილ კაცსაო, გრიშასაც ხოტბა შევასხა, ვაფასებ იმათ რაწლსაო.

თესვის გეგმისთვის ვინ იბრძვის, წახდა არტელის ქამაო. რას იქმს სოფელი, არ ვარგა მისი უფროსი მამაო.

ექვთიმე „საწარმოოსა“ სოფლად საქონელს ამზადებს, თუ რამე კარგი შეხვდება, თავისთვის გადაამზადებს.

სამკითხველოში გრიშასა გაშტერებია თვალიო. ამბობენ — დაბრძანდებოა სამკითხველოში მთვრალოო.

ვაჟა






გუჯაროვი, ოკოი

ჯამაგირის მიღების დროს

„საბუღარის მიწაში“



— სანამ ამ ღობეს შემოუარდე და ქარხანაში მიხვილოდე, იღლები და იქანცები კაცი!

— ჯამაგირს არიგებენო? რაღა ამ ღობეს შემოუარო, პირდაპირ გადავხტები ზედი!



„შემწენულა, რომ ზოგან „სილოსის“ და მზადება ცუდად ხდება.“



— რას გიუტობ, შე ოხერო? დასაკლავად კი არ მიგერეკებით, საქ... აჰე გეპატიოები.  
— მით უარესი, მეც იმითმ არ მოვდივარ!

ბრინძი:— კიდევ კარგი, რომ საბუღაროთა კავშირი არსებობს!  
— რასა ბრძანებთ, ბატონო! როგორ გეკადრებათ!  
— საბუღაროთა კავშირი რომ არ ყოფილიყო, შაშინ ვის-ღა დავაბრალდებდი ევროპის ეკონომიურ კრიზისს?!

„მ უ რ დ ი“

სოფლის შარაგზაზე ვილაც გარბოდა და უბეში რაღაცას მალავდა.  
უკან ქალი მისდევდა და მიდამოს ყვირილით აწუხებდა:  
— ქურდია... დაიჭირეთ... არ გაუშვათ... აღმასკომი გაქურდა!  
ფეხზე დადგა მთელი სოფელი — ყველა დაედევნა  
— არ გაუშვათ... დაიჭირეთ! — ისმოდა ყოველ მხრიდან.  
ბოლოს, როგორც იქნა, დაიჭირეს.  
აღვილობრივი მასწავლებელი აღმოჩნდა.  
ყველას ეწყინა.  
— ამას შენგან არ მოველოდით... სოფელს ისე უყვარდი რომ — თვალში ჩაუარდნოდი, თითს არ ამოისევამდა... ახლა კი სამუდამოდ შეიკრებიან თავი. რა ჰქენი ეს, ნესტორ, რა ჰქენი?! — სწუხდნენ გლეხები.  
— ალბათ კლემენტინით არის დაავადებული, სთქვა ქალაქიდან ჩამოსულმა სტუდენტმა და სოფლე-

ლებს ამ სიტყვის მნიშვნელობაც განუმარტა.  
— რაც ჩვენს სოფ. ქურდობა ხდებოდა, ალბად ყველაფერს მაგა ჩადიოდა! — დაუმატა ვილაცამ.  
მასწავლებელმა ვეღარ მოითმინა და სოფლელებს შესძახა:  
— ამხანაგებო, ქურდობა თუ არ ჩაიდინე კაცმა, განა იმ ოხერს ლიკვიდაციას უზნა?!  
— ვის?  
— ვის კი არა, რას. რასა და, — წერა-კითხვის უცოდინარობას.  
— რას მიედ-მოვედები!  
— კი არ მივედ-მოვედეკა, მართალს ვამბობ. რვეულებისა და სახელმძღვანელოების უქონლობას და ვაჭრებზე დაძალებებს, მაგ. ამ რას გახდები, როცა ელნათურა არა გაქვს? მეცადინეობა სადამობოთ არის. სიბნელეში ხომ ვერ ვიმეცადინებთ? ასჯერ ვთხოვეთ აღმასკომს ელნათურის გამოგზავნა, მაგრამ ყურცი არ გააბარტყუნა. და ეს იმ დროს, როცა მას უამრავი ელნათურები აქვს. დიახ, მოვიტაცე, მოვიპარე ეს ერთი ელნათური ქობ-სამკითხველოსთვის, სადაც წერა-კითხვის უცო-

დინარობის ლიკვიდაციას ვაწარმოებთ? — აღელვებულ მასწავლებელს ელნათური ხელში ეჭირა.  
— არა, არ მოგცემ! — მიადხა ქალმა, რომელიც აღმასკომიდან მოსდევდა და უცბად ხელიდან გამოსტაცა მასწავლებელს ელნათური.  
— შე ვინა ხარ? — გამოეკომაგენ ზოგიერთები მასწავლებელს.  
— მე აღმასკომის დამლაგებელი გახლავარ! — სთქვა ჯაღმა, ელნათური უბეში ჩაიდგა და აღმასკომისკენ გაიქცა.  
ასეთ უყურადღებობას იჩენენ რაიონების ზოგიერთი ხელმძღვანელები წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმისადმი.  
მოხსენებებზე კი გაიძახიან: — „სწავლა სინათლეა, უსწავლელობა — სიბნელე“.  
რათქმა უნდა სწავლა „სინათლეა“, მაგრამ უსინათლოდ სწავლა რომ არ შეიძლება? აი ამ გარემოებას რომ გაიგებდნენ და გუწევდნენ ანგარიშს რაიონში მომუშავე ამხანაგები, კარგი იქნებოდა.  
„ლაპობტ“-დან გამოკეთებული



# == მ უ ხ რ უ ჯ ი ==

## სიგულიანობის დამცველი (მთ. საავადმყოფო)

მაღაციძე (ამბულატორიის ექიმს):

ა, ექიმო, აღარა ვარ,  
საცა არის გავთავლები;  
ჩქარა თავზე დამასიე  
ყველა მოწყალეების დები.  
მაგრამ... ამას ისა მიჯობს  
მომცე თავისუფლობათ,  
ერთი კვირა მაინც ჰქონდის  
ქეიფობის ოობობათ



ექ. ლოლაშვილი:

დამხსალაროს ინტერესი  
მე ფეხებზე მკიდიათ;  
ბიულეტენს არ მოვაკლებ,  
ძღვენი იყოს დიდიათ.

## სიმაღრა



კალანდაძე ბესარიონ  
ობერ-კონდუქტორიათ;  
ის დაჰყვება მატარებლებს,  
ქრთამებს გაჰკრა ტორიათ.  
დიღინებს ბესარიონი:  
—ვამაყობ, არ მყავს ტოლით;  
დროსა ვატარებ ჩინებულს,  
მუდამ სავეს მაქვს სტოლით.  
სპეკულიანტათ ვარამი  
მე გულში ჩამიგდიათ.  
არვისთვის მილაღატნია,  
გზაში არ დამიგდიათ.  
სამაგიეროდ ფულები  
ჯიბეში ჩამიწყვიათ  
და ტუბილად, კმაყოფილებით  
სიმღერა დამიწყვიათ.

## „კოვჩი ნატარუი“... (სად. ძირულა)

იავორსკი და ჯიქია  
ერთმანეთს შეხედენ ძმურად  
და დაისახენ რკინის გზა  
თავიანთ საწველ ფურადა,  
თათბირი ჰქონდათ, დაასკვნეს:  
„გავტეხით ეს ვაგონიო,  
შიგ იმოღენა რამ არის,  
ვირც კი წავიღოთ, მგონიო.  
უნდა მოვიტყუთ ისე, რომ  
ჩვენზე არ იყოს ეჭვიო;  
არვინ გავვიგოს ეს საქმე,  
არ გავკირას მშრობი იშვიო“.



და დატრიალდენ ბიჭები,  
მკერდებქვეშ უცემთ გულები...  
გამასწორებელ სახლისკენ  
წარმართეს გაბაწრულები.

14

## წ მ ე ნ დ ა „ს ა ქ ლ ვ ი ნ ო შ ი“

გისურვებთ ყველას გენახოთ სოციალდემკრელობის რიგია,  
ხუთწლედის ოთხში შექმნელი, იცოდეთ ყველამ, იგია;  
მე აპარატის წმენდაზე მინდოდა ლექსის აგება  
დაიწყო წმენდა და ამით არცა ქნა საქმის წაგება.  
თეატრი ხალხით გაივსო, მან ვალი გადაიხადა,  
ახადეს ფარდა, გამოიჩნდა მასზე მუშათა ბრიგადა.

გამოიძახეს პირველად ხარატინის გვარია,  
მან თავის ბიოგრაფია ააღმხალა, არია,  
შემოესია გარშემო ბრიგადელების ჯარია,  
მას შეკითხვები მიარტყეს ბარე ათასი გვარია.

სამსონი ამბობს—ტრიბუნა დასცალეთ, მე გამიშვიოთ  
მუშებს აძახა მან თურმე, „დედავ რაიზე ვიშვიოთ“,  
ღრმოცი მუხლი ბრალი აქვს, მასში არც ერთი იჭვიოთ,  
ვერ გაათეთრეს სამსონი თუმც ბევრი „ხეხეს ქვიშიოთ“  
უმტკიცეს: სახლში მრავალი მას ხის მასალის წაღება,  
მუნ სასმელების ბოთლიდან უხვად გაცემა, გაღება.

უეცრად სცენის მარჯვნიდან გაიღო ფარდის კარია,  
ქალი შემოღდა სიტურფით მშემთავარის შესადარია,  
მისმა სიტურფემ მრავალი ზებუნებრივად არია,  
რაც კი უქნია ლამაზსა, არ უთქვამს ერთიც უარია.

ჯაველიძესაც უთითეს საბოტაჟური ხელობა,  
ხესტაფონიდან წამოსვლა აქედან უარის მთქმელობა.

დაფარა მისი წარსული, ვერ სწვდა დროს სანეტა-  
როსა,  
ბრალდება ბლომად უმტკიცეს ანდრონიკაშვილს მაროსა;

გარევისა და მიხეილს არავინ დაეხმაროსა,  
(მოწაფეს როგორ ასწავლის, წაართმევს შემდეგ წყა-  
როსა).


ინჟინერებიც გასწმინდეს ვინც მშენებლობას განაგებს,  
ისევ დარღვევა სჭირდება შენობას იმათ ანაგებს.  
ზოგს არ ქონია დიპლომი არც ნასწავლები ყოფილან  
ნაცნობობით და მოყვრობით აქ „სამუშაოთ“ ხმობილან.

ბრიგადების ხელმძღვანელად, ამა ხალხში ვხედავთ  
ვარდენს;  
სიტყვა მახვილს ვერა იტყვის, გამოთქმითა კაცი ამდენს,  
ბევრი ამკო, მაგრამ მასთან შეუკუროთხა იცით რამდენს?  
რკინის ცოცხი უნდა ჰქონდეს, ამოღენა ხალხის გამდენს.  
ლაღო.



# უკუღებურ კულტურა

# გოდორი



(პრემიი, ჩიხატაურის რაიონი)

სოფ. ონიჭიქელის სკოლაში გაიმართა წარმოდგენა, რამაც დიდი ზარალი მიაყენა სკოლის შენობას. წარმოდგენას „ხელმძღვანელობდნენ“ მ. კალანდაძე და ვ. მალოზოვი-შვილი, რომლებიც:

მთვარის ვანებს ღებულობდენ  
მიმალულნი ჩირგვ ბუჩქნარში.  
ტრფობის ოფლში ცურაობდენ...  
გაეღვიბათ დილით ცვარში.

გლეხი-ქალი

— კაცო, ეს რა მოხვლია ჩვენს სკოლას!  
მიწის ძვრა ხომ არ უოფილია?  
— არა, გუშინ შირცას და ვალიკოს წარმოდგენა იყო!

დ. ხონელს (ხონში). საკანდიტოს შესახებ გვწერთ, რომ: როცა შეხვალთ დაგვირდებათ ხალამოდის ლოდინია; თანაც უნდა იქონიოთ მუთაქა და ლოგინია.

ასეთივე აზრს გვწერს „კბილანა“ ხონის კინო-თეატრის შესახებ. ასე რომ ყურის აწევა მგონი თქვენც არ გაწყენთ.

ტ. გულის (აქვე) გამსახლის საავთომკოლოს კოლპ. კომისიისა, კულტსექტორის და რემედისის ბიუროს შესახებ გვწერთ, რომ: გადის ხანი არა ცოტა, ხაქმე არ ჩანს მათი, არა. ნეტა მათ ვინ გააღვიძებს!.. კმარა ძილი, კმარა, კმარა...

ალბათ ადგილკომი და უჯრული „ნანას“ უმღერებენ, რომ ამდენხანს ასე ტკბილათ სძინათ.

კმეშხს (ოზურგეთი) რასაც თქვენ იწერებით, საკვირველება: ხანდახან თუ გაიღვიძებს ჩვენი დახი და თეატრი.

ძილში არის, ფერხულს უფლის, მოხცნე ამით თუ გაქვს ხათრი!

ნინავი ისეთი ხათრიანია, რომ მოცხებას თქვენთვისაც არ დაიზარებს. რატომ უსაყვედურობთ თეატრს, როცა პირიქით, ქების ღირსია თუ „ძილშიაც კი ფერხულს უფლის“? პირველად გვესმის, რომ მძინარე კაცი (და ისიც მთელი დასი) ფერხულს უფლიდეს. ეს დიდ მიღწევად ჩათვლება თქვენს თეატრს და მის ხელმძღვანელს.

ბი-და (ბორჯომი) სრული ჭეშმარიტებაა, რომ ყოველ ოჯახში აქნება მახინჯი. ეს მოვლენა არც თქვენ აცდენიათ, რომ ასეთები არიან მინის ქარხანაში და ბორჯომის წყალის სამმართველოში:

აღღვამას შეხვდა ზემით  
ქრისტეს მოყვასი ორია:  
აუმატოვი, ბითამე,  
არავფე დირექტორია.

ალბად გ. რევაზიშვილმა, ა. ვ. ვარშაკოვმა და პ. ივლიევმაც თავიანთ წრეთუ ლირექტორებს მიბაძეს ქრისტეს პატივისცემაში.

ბრ-ნას (საქუთაო) „მელას რაც ავონდებოდა, ის ესიზმრებოდაო“. ქარხანას სიზმარი რას უშველის! სიზმრები ყოფილ ხალხთა და ბერ-მონაზონთა საქმეა. მათ ყოველთვის კარგი სიზმრები აქვთ არსებულ ხელისუფლების დამხობის შესახებ და გულსაც ამით აიძვებდნენ, მაგრამ ოდესმე ამხდარა მათი სიზმარი?!

ასე, რომ თქვენაც და შალვამაც რა კარგი სიზმარიც არ ნახოთ ქარხანაზე, საქმე ამით არ გამოსწორდება.

## პატაკი ნიანგს

ძრწიან, ნიანგო, შენი შიშია, არამც თუ სბეკულიანტნი, კვლაკნი და ნფლანგველნი, არამედ ისინიც, რომელნიც ესე ხელითა ნათლიმამისათა არიან მოკალათებულნი ადგალსა თბილსასა.

რამეთუ ესე ბილწნი იმყოფებიან სოფელსა ცოდნის-კარსა შინა ლავოდების რაიონსა ზედა, ალილუია!

და მოისმინე გვარები და ნამოღეწარნი მათნი:

პირველი არს სტეფანე ბარნაბი-შვილი, რომელმან ესე სავესე კოოპერატივი ლამესა ბნელსა განტვირთა საქონლითა მისითაგან, ხოლო მარჯვენითა ნათლიმამებისათა იქნა არამც თუ დასჯილნი კანონითა საბჭოისათა, არამედ უფრო პატივცემულ.

მეორე არს ესე იოსებ ჩუთლაშვილი სამსახურიცა წარსულისათა ნასტრატუნკალი, რომელისა მარჯვიენითა გასწორებულა მიწასა ზედა ათეული რიოლილიციონერი ოჯახებითა თვისითა, ამინ!

მესამე არს შაქრო და ილო ჯალია შვილები, რომოებისა ხელობასა ესე შეადგინს ძარცვა-გლეჯა; რომოებმა ესე ახლო წარსულში თუთუნნი წონითა ფუთისა ორმოცისა არამც, დუ ჩააბარეს კოოპერატივს, არამედ ამჯობინეს გაყიდვა ჩარჩ-ვაჭრებზე ამინ!

რა თუ ესე გვამებს გაჰკვეთავდე კბილითა შენითა ხერხისებურითა, ამინ.



# ინგლისის მოღვაწეობა ახალ უმენტებში

ნახ. ნადარეიშვილისა

ს. ს. ს. რ. 35  
 ხანაღმა განათლებით  
 ამხსნათობა  
 სპირიტუალის  
 რიგების ანალიზი  
 25" - 1931 წ.  
 214  
 ქ. თბილისი



—რა უმაღური ხალხია! მათთვის სისხლს ვღვრივ, მაგრამ ისინი მაინც ჩვენი უკმაყოფილო არიან!